საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდებულიძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე

ა. კ. დიდებულიძე

დიდებულიძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (დ. 30. IX. 1944, თბილისი), ელექტრომექანიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1997). ტექ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1992). საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1995).

დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1966). 1967–68 მუშაობდა იქვე, 1968–74 – საქართვ. სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1974- იდან მუშაობს საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში (ახლანდ. საქართვ. აგრარული უნ-ტი), 1989-იდან ელექტროტექნიკისა და ელექტროამძრავის კათედრის გამგეა.

2004–08 იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე. დ-ის სამეცნ. შრომები ეხება სოფ. მეურნ. და ელექტრომექანიკის პრობლემებს – სპეც. ელექტრიფიცირებულ სატრანსპ.-ტექნოლ. მოწყობილობებს, ელექტროდანადგარების ექსპლუატაციას.

მონაწილეობდა (ვ. მეტრეველსა და რ. ქსოვრელთან ერთად) ელექტრომაგნ. ვიბროამძრავის, პნევმოსატრანსპ. დანადგარის დამუშავებაში, რისთვისაც მიღებული აქვს სხვადასხვა ქვეყნის 40 პატენტი და საავტორო მოწმობა.

თხზ.: ავტომატიზებული ელექტროამძრავი სოფლის მეურნეობაში, ნაწ. 2, თბ., 1982 (თანაავტ.: ვ. მეტრეველი, შ. ჭელიძე); ელექტრომოწყობილობის ექსპლუატაცია, თბ., 1991 (თანაავტ. ი. წულაძე); სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, თბ., 1997; ენერგეტიკის სექტორი საქართველოში, თბ., 1998.

ვ. მეტრეველი